შეფასების კომისიები საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე

1. როგორ იქმნება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლის შეფასების კომისია რესურსცენტრის დონეზე?

მასწავლებლის შეფასების კომისიას რესურსცენტრის დონეზე ქმნის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. რესურსცენტრში შეიძლება შეიქმნას მასწავლებლის შეფასების ერთი კომისია, რომელიც იმუშავებს სქემის სამივე მიმართულებით (სწავლა-სწავლება, მართვა/ადმინისტრირება, საგანმანათლებლო კვლევა), ან კომისიები შეიქმნას მიმართულებების მიხედვით - მაგალითად, ერთი კომისია საგანმანათლებლო კვლევის მიმართულებით, მეორე - მართვა/ადმინისტრირების და მესამე - სწავლა-სწავლების.

კომისიის შემადგენლობა:

წევრი	**როგორ განისაზღვრება?**	**შენიშვნა**
რესურსცენტრის ხელმძღვანელი	საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი	კომისიის თავმჯდომარე
რესურსცენტრის სპეციალისტი	რესურსცენტრის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი	სასურველია, საგანმანათლებლო რესურსცენტრში პედაგოგის პოზიციაზე დასაქმებული პირი.
პროფკავშირის წარმომადგენელი	საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ წარდგენილი პირი - მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლის წარდგენა ხდება მასწავლებელთა პროფკავშირის მიერ. რესურსცენტრის კომისიაში პროფკავშირი წარადგენს პირს, რომელიც მის მიერ არ არის წარდგენილი მასწავლებლის ან სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი რომელიმე სკოლის კომისიის წევრად.	პროფკავშირის მიერ ერთი და იგივე პირი შეიძლება წარდგენილ იქნეს **არაუმეტეს ორ რესურსცენტრში.** პროფკავშირის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს ამ რესურსცენტრის თანამშრომელი.

წევრი	როგორ განისაზღვრება?	შენიშვნა
მოწვეული სპეციალისტი	ზოგადი განათლების სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის მქონე პირი - მათ შორის სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში, შეფასებაში ან საგანმანათლებლო პროცესების მხარდაჭერაში ჩართული პირი, ან შესაბამის სფეროში მოქმედი პროფესიული გაერთიანების წარმომადგენელი.	კომისიის მოწვეულ სპეციალისტს იწვევს რესურსცენტრის ხელმძღვანელი. კომისიის მოწვეული სპეციალისტი არ შეიძლება იყოს ამ რესურსცენტრის თანამშრომელი.
სამი სკოლის დირექტორი	• კომისიის წევრად შეირჩევა რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული **სამი სკოლის დირექტორი.** • კანდიდატებს რესურსცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენენ რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლების დირექტორები. • კანდიდატების შესარჩევად რესურსცენტრის ხელმძღვანელი იწვევს სკოლის დირექტორების შეხვედრას. – კომისიის წევრი დირექტორები შეირჩევიან ფარული კენჭისყრით დირექტორების შეხვედრაზე. – შეხვედრაზე დამსწრე წევრთაგან ხმათა უმრავლესობით აირჩევა შეხვედრის ხელმძღვანელი და შეხვედრის მდივანი. შეხვედრის თითოეული წევრი, მათ შორის შეხვედრის მდივანი, სარგებლობს თანაბარი, ერთი ხმის უფლებით.	თუ დირექტორების შეხვედრაზე საკმარისი რაოდენობის (სამი) კანდიდატი არ იქნება წარდგენილი, კომისიის წევრ დირექტორს/დირექტორებს ირჩევს რესურსცენტრის ხელმძღვანელი. კომისიის წევრი დირექტორი **არ მონაწილეობს** იმ მასწავლებლის შეფასებაში, რომელიც მის სკოლაშია დასაქმებული.

წევრი	როგორ განისაზღვრება?	შენიშვნა
	– შეხვედრა ფორმდება ოქმით. შეხვედრა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უფლებამოსილ პირთა ნახევარზე მეტი. – შეხვედრაზე დამსწრე ნებისმიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, წარადგინოს როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის კანდიდატურა. – კენჭისყრა ტარდება ეტაპობრივად: თითოეულ ეტაპზე ყველაზე მეტი ხმის მიმღები პირი ითვლება არჩეულად და მომდევნო ეტაპზე კენჭს აღარ იყრის - და ა.შ, სანამ სამივე ადგილი არ შეივსება. – ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში შეხვედრის ხელმძღვანელი რესურსცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს ყველა თანაბარი ხმის მქონე კანდიდატს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რესურსცენტრის ხელმძღვანელი. – თუ რესურსცენტრი სქემის მიმართულებების მიხედვით ერთზე მეტ კომისიას ქმნის, ამ შემთხვევაში კანდიდატი თითოეული კომისიისთვის შეირჩევა ცალ-ცალკე კენჭისყრით. ამ შემთხვევაში დირექტორებს უფლება აქვთ, სხვადასხვა კომისიაში წარადგინონ როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა კანდიდატი.	
შენიშვნა: კომისიის მდივნად თავმჯდომარე ნიშნავს უკვე კომისიის შემადგენლობაში მყოფ ერთ-ერთ წევრს. კომისიის მდივნად ბრძანებით უნდა განისაზღვროს კომისიის ის წევრი, რომელსაც აქვს eSchool-ის მომხმარებელი და შეუძლია სისტემაში ავტორიზაცია.		

2. როგორ იქმნება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სპეციალური მასწავლებლის შეფასების კომისია რესურსცენტრის დონეზე?

სპეციალური მასწავლებლის შეფასების რესურსცენტრის კომისია იქმნება, თუ რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში დასაქმებულია სულ მცირე ერთი სპეციალური მასწავლებელი. კომისიას ქმნის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. რესურსცენტრში შეიძლება შეიქმნას სპეციალური მასწავლებლის შეფასების ერთი კომისია, რომელიც იმუშავებს სქემის სამივე მიმართულებით (სწავლა-სწავლება, მართვა/ადმინისტრირება, საგანმანათლებლო კვლევა), ან კომისიები შეიქმნას მიმართულებების მიხედვით - მაგალითად, ერთი კომისია საგანმანათლებლო კვლევის მიმართულებით, მეორე - მართვა/ადმინისტრირების და მესამე - სწავლა-სწავლების.

კომისიის შემადგენლობა:

წევრი	**როგორ განისაზღვრება?**	**შენიშვნა**
რესურსცენტრის ხელმძღვანელი	საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი	კომისიის თავმჯდომარე
რესურსცენტრის სპეციალისტი	რესურსცენტრის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი	
პროფკავშირის წარმომადგენელი	საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ წარდგენილი პირი - მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლის წარდგენა ხდება მასწავლებელთა პროფკავშირის მიერ. პროფკავშირს შეუძლია წარადგინოს მასწავლებლის შეფასების რესურსცენტრის კომისიაში წარდგენილი პირი ან პროფკავშირის	პროფკავშირის მიერ ერთი და იგივე პირი შეიძლება წარდგენილ იქნეს **არაუმეტეს ორ რესურსცენტრში.** პროფკავშირის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს ამ რესურსცენტრის თანამშრომელი.

წევრი	როგორ განისაზღვრება?	შენიშვნა
	წევრი სპეციალური მასწავლებელი. ამასთან, წარდგენილი პირი არ უნდა იყოს პროფკავშირის მიერ რომელიმე სკოლის კომისიის წევრად წარდგენილი.	
მოწვეული სპეციალისტი	ზოგადი განათლების სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის მქონე პირი - მათ შორის სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში, შეფასებაში ან საგანმანათლებლო პროცესების მხარდაჭერაში ჩართული პირი, ან შესაბამის სფეროში მოქმედი პროფესიული გაერთიანების წარმომადგენელი.	კომისიის მოწვეულ სპეციალისტს იწვევს რესურსცენტრის ხელმძღვანელი. კომისიის მოწვეული სპეციალისტი არ შეიძლება იყოს ამ რესურსცენტრის თანამშრომელი.
სამი სკოლის დირექტორი	● კომისიის წევრად შეირჩევა რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული **სამი სკოლის დირექტორი.** ● კანდიდატებს რესურსცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენენ რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლების დირექტორები. ● კანდიდატების შესარჩევად რესურსცენტრის ხელმძღვანელი იწვევს სკოლის დირექტორების შეხვედრას. - კომისიის წევრი დირექტორები შეირჩევიან ფარული კენჭისყრით დირექტორების შეხვედრაზე. - შეხვედრაზე დამსწრე წევრთაგან ხმათა უმრავლესობით აირჩევა შეხვედრის ხელმძღვანელი და	თუ დირექტორების შეხვედრაზე საკმარისი რაოდენობის (სამი) დირექტორი არ იქნება წარდგენილი, კომისიის წევრ დირექტორს/დირექტორებს ირჩევს რესურსცენტრის ხელმძღვანელი. კომისიის წევრი დირექტორი **არ მონაწილეობს** იმ სპეციალური მასწავლებლის შეფასებაში, რომელიც მის სკოლაშია დასაქმებული.

წევრი	როგორ განისაზღვრება?	შენიშვნა
	შეხვედრის მდივანი. შეხვედრის თითოეული წევრი, მათ შორის შეხვედრის მდივანი, სარგებლობს თანაბარი, ერთი ხმის უფლებით. - შეხვედრა ფორმდება ოქმით. შეხვედრა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უფლებამოსილ პირთა ნახევარზე მეტი. - შეხვედრაზე დამსწრე ნებისმიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, წარადგინოს როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის კანდიდატურა. - კენჭისყრა ტარდება ეტაპობრივად: თითოეულ ეტაპზე ყველაზე მეტი ხმის მიმღები პირი ითვლება არჩეულად და მომდევნო ეტაპზე კენჭს აღარ იყრის - და ა.შ., სანამ სამივე ადგილი არ შეივსება. - ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში შეხვედრის ხელმძღვანელი რესურსცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს ყველა თანაბარი ხმის მქონე კანდიდატს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რესურსცენტრის ხელმძღვანელი. - თუ რესურსცენტრი სქემის მიმართულებების მიხედვით ერთზე მეტ კომისიას ქმნის, კომისიის წევრი დირექტორი თითოეული კომისიისთვის შეირჩევა ცალ-ცალკე კენჭისყრით. ამ შემთხვევაში დირექტორებს უფლება აქვთ, სხვადასხვა კომისიაში წარადგინონ როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა კანდიდატი.	

წევრი	როგორ განისაზღვრება?	შენიშვნა
ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველოს) წარმომადგენელი.	ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი სპეციალური მასწავლებლის შეფასების რესურსცენტრის კომისიაში **სავალდებულოდ** შედის.
შენიშვნა: კომისიის მდივნად თავმჯდომარე ნიშნავს უკვე კომისიის შემადგენლობაში მყოფ ერთ-ერთ წევრს. კომისიის მდივნად ბრძანებით უნდა განისაზღვროს კომისიის ის წევრი, რომელსაც აქვს eSchool-ის მომხმარებელი და შეუძლია სისტემაში ავტორიზაცია.		